2015



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №3

პერიოდული გამოცემა
შემოდგომა 2015

საქართველოს სახალხო დამცველი
ცხელი ხაზი: 1481

მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 4

3. მთავარი მოვლენა 5

3.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 5

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 6

4.1 განხორციელებული ვიზიტები 6

4.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები 6

4.1.2 საქართველოში არსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგი 6

4.1.3 ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი 6

4.1.4 დეპორტაციის პროცესის მონიტორინგი 7

4.1.5 ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში. 7

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 8

4.3 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 11

4.3.1 ტრეინინგი უსაფრთოხების სექტორის მონიტორინგის თემაზე 11

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 11

5.1 N8 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა 11

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 12

6.1 რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა 12

7. საკანონმდებლო მიმოხილვა 13

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში 13

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 13

7.2.1 ხანგრძლივი პაემანის განხორციელების უფლების შეზღუდვა დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში 13

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 15

8. ფოკუსი 15

8.1 ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში 15

9. ექსპერტის მოსაზრება 16

10. საერთაშორისო სიახლეები 17

11. მომავალი ღონისძიების ანონსი 17

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N3 ბიულეტენი შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენს მიერ შემოდგომის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პირველ რიგში აღსანიშნავია პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიშის – „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“ პრეზენტაცია. აღნიშნული მასშტაბისა და მოცულობის კვლევა საქართველოში პირველად განხორციელდა. ამავე პერიოდში ასევე ჩატარდა ათზე მეტი ვიზიტი თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში, გამოქვეყნდა ერთი სპეციალური და ორი ვიზიტის შემდგომი ანგარიში.

ხაზგასასმელია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორცილდა საქართველოში არსებული 12 ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი; ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი; სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2015 წლის 20 ოქტომბერს მეორედ განახორციელეს მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი. გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში ხანდაზმულ პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ბიულეტენში მოცემულია ინფორმაცია N8 პენიტენციური დაწესებულების შესახებ. წარმოდგენილია რეკომენდაციების შესრულების დინამიკა და განხორცილებული ცვლილებები კანონმდებლობაში.

წინამდებარე ნომერი მიმოიხილავს პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში ხანგრძლივი პაემანის განხორციელების უფლების შეზღუდვის საკითხს. ბიულეტენის ფოკუსს წარმოადგენს ანგარიში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა და სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა მოამზადეს.

შემოდგომაზე არაერთი აქტივობა განხორციელდა. ამ კუთხით აღსანიშნავია, საჯარო დებატები თემაზე - „რეაგირება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პოლიციაში: სახელმწიფოს და საზოგადოების ხედვა“; აგრეთვე შედგა მნიშნელოვანი ვიზიტი ჟენევაში, სადაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს შეხვდნენ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ტრეინინგი უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის თემაზე.

ბიულეტინის წინამდებარე ნომერში ასევე, იხილავთ ინტერვიუს UNICEF-ის ფონდის დირექტორთან საშა გრაუმანთან.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

2009 წლიდან საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს. ამ მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის დებულებების განმარტებისა და პრაქტიკაში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განსამარტად, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები გამოსცა.[1] სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარმოადგენს ზედამხედველობის დამატებით სისტემას და ის არ ცვლის არსებულს ან არ გამორიცხავს ზედამხედველობის სხვა სისტემების შექმნას.[2] საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და უფლებამოსილება, ასევე, უზრუნველყოფილია მისი ფუნქციონალური დამოუკიდებლობა.

გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ყველა დაწესებულებაზე. წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა აწარმოებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს განგრძობად ვალდებულებას და შესაბამისად პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანობა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ამასთან, ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის შესაბამისი მოსაზრებები.

[1]პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი, 2010, პარ. 2.

[2] იქვე პარ. 5

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საკუთარი მანდატის თითოეული ასპექტის შესრულებისას ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს მოეთხოვებათ რეგულარულად გადასინჯონ მათი საქმიანობის მეთოდოლოგია და ქმედუნარიანობის ასამაღლებლად გაიარონ შესაბამისი სწავლება.[3] პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა უნდა შეიმუშავოს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ყველა ადგილის მონახულებას და იქ შესაბამისი შემოწმების ჩატარებას. საქმიანობა უნდა დაიგეგმოს და რესურსები გადანაწილდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილების ისეთი სიხშირით მონახულება, რაც ეფექტიან წვლილს შეიტანს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.[4]

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ყოველი ვიზიტის შემდგომ გამოსცემს ანგარიშებს, ასევე წლიურ და სხვა ფორმის ანგარიშებს საჭიროების შესაბამისად. ანგარიშები, სადაც ეს აუცილებელია, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის შესახებ მიღებული ნორმების, მათ შორის, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის კომენტარებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვალდებულია სრულად დაიცვას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.[5]

[3] იქვე პარ. 30-31

[4] იქვე პარ. 33-34

[5] იქვე პარ. 36-37

3. მთავარი მოვლენა

3.1 პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

2015 წლის 19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმის შესახებ პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში წარმოადგინა.

საჩივრის/მოთხოვნის განხილვის პროცედურის და ამ პროცედურისადმი პატიმართა ნდობის ხარისხისა და დამოკიდებულების კვლევა საქართველოში პირველად განხორციელდა. კვლევის ფარგლებში, რომელიც სოციოლოგიურ და სამართლებრივ კომპონენტებს მოიცავს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 14 პენიტენციურ დაწესებულებაში, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით პატიმრების გამოკითხვა ჩაატარა; შემდეგ კი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში გააანალიზა, როგორც საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურის და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, ასევე მოთხოვნაზე/საჩივარზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რეაგირების პრაქტიკა.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება, ასევე ეფექტიანი შიდა მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი უზრუნველყოფს პატიმართა უფლებების პატივისცემას და წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. ასეთი მექანიზმის არარსებობა უარყოფითად აისახება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მოთხოვნებზე და საჩივრებზე არაჯეროვანი რეაგირების პირობებში პატიმრები ხშირად მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ზომებს - შიმშილობას და თვითდაზიანებას.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, 2015 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, თუ რამდენად იყო უზრუნველყოფილი მომჩივანთათვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, კონფიდენციალური და მიუკერძოებელი მოთხოვნის/საჩივრის განხილვის პროცედურები. აგრეთვე, მოსდევს თუ არა მოთხოვნებს/საჩივრებს დროული რეაგირება და რამდენად არის რეაგირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთხოვნის/საჩივრის წარსადგენად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ზოგადად ხელმისაწვდომია, თუმცა დაბალია მოთხოვნის/საჩივრის შეტანის პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დონე. პატიმართა მიერ შეტანილი მოთხოვნების/საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება განაჩენის გადასინჯვის, შეწყალების, სამედიცინო მომსახურების, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის და არასათანადო მოპყრობის საკითხებს.

პატიმრების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ საჩივრის შეტანა არ არის სწორი საქციელი; ნაწილი ფიქრობს, რომ საჩივრის შეტანა მათ მიმართ ზეწოლას გამოიწვევს (გამოკითხვამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში, საჩივრის შეტანისას მართლაც ჰქონდა ადგილი ზეწოლას); პატიმართა ნაწილს სამართლიანი რეაგირების მოლოდინი არ აქვს.

კვლევის თანახმად, საჩივრის წარდგენისას ირღვევა კონფიდენციალურობის პრინციპი; ამასთან, არსებითი პრობლემებია მოთხოვნაზე/საჩივარზე დროული და ადეკვატური რეაგირების კუთხით. ხშირ შემთხვევაში არ ხდება საჩივარში მითითებული საკითხების სრულყოფილად შესწავლა და მიღებული გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. არადამაკმაყოფილებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის მოთხოვნებზე/საჩივრებზე სათანადო რეაგირება კვლავაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველო ცდილობს, დაწესებულებების

მონიტორინგის ფარგლებში, კრიტიკულად შეაფასოს პენიტენციური ჯანდაცვის სხვადასხვა ასპექტი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც დადებითი მოვლენაა.

კვლევა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონიტორინგის გაძლიერება“ ფარგლებში.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

4.1 განხორციელებული ვიზიტები

4.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

საქართველოს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2015 წლის სექტემბრიდან - ნოემბრის ჩათვლით მონიტორინგი განახორციელა N12, N6, N8, N16, დაწესებულებებში. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულებების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. დაწესებულებების თანამშრომლებმა ჯგუფს მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია მიაწოდეს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამჟამად ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ მონაცემებს. 2016 წლის დასაწყისში იგეგმება ვიზიტის შემდგომი ანგარიშების საზოგადოებისათვის გაცნობა.

4.1.2 საქართველოში არსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 დროებითი მოთავსების იზოლატორი და 12 პოლიციის სამმართველო შეამოწმეს. მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს, შეამოწმეს 2015 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები. ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები. დაათვალიერეს სამმართველოების შენობები, შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ. ამჟამად სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ დიდი მოცულობის მონაცემებს და განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას.

4.1.3 ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს 12 ფსიქიატრიული დაწესებულება თბილისში, რუსთავში, იმერეთში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.

მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფსიქიატრიული დაწესებულებების ფიზიკური გარემო, კონფიდენციალობის დაცვით, პირისპირ ინტერვიუს გზით გაესაუბრნენ დაწესებულებებში მყოფ პაციენტებს. ჯგუფის წევრები ასევე გაესაუბრნენ ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციას, სამედიცინო პერსონალს და სოციალური სამსახურის თანამშრომლებს. მონიტორინგის დროს შემოწმდა დაწესებულებებში არსებული დოკუმენტაცია და სამედიცინო ისტორიები. შემოწმების შედეგად დოკუმენტირებული იქნა საყურადღებო შემთხვევები, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს. ა. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე გამოძიების

დაწყების შესახებ 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა N03-1/8853 წინადადებით მიმართა პროკურატურას. აღნიშნულთან დაკავშირებით 2015 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ამჟამად, სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებულ მონაცემებს და უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშს.

4.1.4 დეპორტაციის პროცესის მონიტორინგი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის განხორციელების პროცესში 2014 წელს დაინერგა სიახლე, კერძოდ მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა აქტივობამ რეგულარული სახე მიიღო და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2015 წლის 20 ოქტომბერს მეორედ განახორციელეს მიგრანტთა დაბრუნების პროცესის შემოწმება.

ღონისძიება განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს 35 მოქალაქის დეპორტაციის მონიტორინგს.

გერმანიის, შვეიცარიისა და ბულგარეთის სასაზღვრო პოლიციამ ქართულ მხარეს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ესკორტს) თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფში და სოფიაში) გადასცა გერმანიიდან, შვეიცარიიდან და ბულგარეთიდან დეპორტირებული პირები. დეპორტაციის განხორციელებას კოორდინირებას უწევდა ევროპული ორგანიზაცია „ფრონტექსი (FRONTEX)“.

მოქალაქეების დაბრუნების პროცესში საქართველო მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების ჩართვით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები მონიტორინგის ფარგლებში გაემგზავრნენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შემდეგი მიმართულებით: თბილისი – დიუსელდორფი – სოფია – თბილისი.

დეპორტირებული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით თვითმფრინავში მეტალის დეტექტორით შეამოწმეს, რის შემდეგაც განათავსეს შესაბამის სამგზავრო ადგილებზე. სამგზავრო ადგილზე მოთავსებული თითოეული პირის გვერდით იჯდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი ან ორი თანამშრომელი.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობდა უწყვეტად. აღსანიშნავია, რომ დაბრუნების ოპერაციის მიმდინარეობისას დეპორტირებული პირების უფლების დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. მგზავრობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა. მგზავრობისას პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები ესაუბრნენ დეპორტირებულ პირებს, რომელთა ნაწილი გამოთქვამდა პრეტენზიებს ზოგადად, დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილებისა და პროცედურების შესახებ.

სახალხო დამცველის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს აღნიშნული პრეტენზიების შესწავლასა და მონაცემების გადამოწმებას.

4.1.5 ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში.

სპეციალური ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგებს სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2015 წლის აპრილში თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში, ასევე, ხანდაზმულთათვის მომსახურების მიმწოდებელ 5 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის, ბენეფიციართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები, პერსონალის ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია, არაადაპტირებული ფიზიკური გარემო, ინფრასტრუქტურის გაუმართავობა და

სხვა. დადებითად გამოიკვეთა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხანდაზმულთა პანსიონატში არსებული მდგომარეობა, სადაც მომსახურება დადგენილი სტანდარტების დაცვით ხორციელდება.

სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა პასუხისმგებელ უწყებებს, რათა სათანადოდ განახორციელონ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პირების უფლებების რეალიზაცია, უზრუნველყონ არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

რეაგირება არასათანადო მოპყრობის ფაქტზე პოლიციაში: სახელმწიფოსა და საზოგადოების ხედვა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

- 2015 წლის 4 დეკემბერს სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე - „რეაგირება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პოლიციაში: სახელმწიფოს და საზოგადოების ხედვა“. დებატებზე მოხსენებით წარსდგნენ სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ხუციშვილი, სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვარლამ ხათრიძე და შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე.

დებატები ძირითადად, პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს და სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის არაეფექტურ გამოძიებას შეეხო. განიხილეს ასევე დაკავებულ პირთა დაკითხვის წესი და სხეულის დაზიანების დოკუმენტირების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების ხარვეზები.

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე ხუციშვილმა ყურადღება გაამახვილა გამოძიების არაეფექტურობაზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა პროკურატურას სამართალდამცველთა სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით 9 წინადადება გაუგზავნა, თუმცა, არცერთ ამ საქმეზე შედეგი არ დამდგარა; მან ასევე, ინტერესთა კონფლიქტად შეაფასა პოლიციელების მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების წარმოება. ეკატერინე ხუციშვილის განმარტებით, აღნიშნული გარემოება ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების ობიექტურობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვარლამ ხათრიძემ უარყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობა და განაცხადა, რომ გენერალურმა ინსპექციამ მხოლოდ 2015 წელს 2000–ზე მეტი პოლიციელის საქმე განიხილა დისციპლინური წესით და არაერთი მათგანი დასაჯა.

დებატებზე განიხილეს დაკავებისას და დაკავების პირველი წუთებიდან დაკავებული პირის წამებისაგან და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიები. სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, სადაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა დაკავებული პირი დაკავებისას ან დაკავების შემდგომ, დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაკავებული პირის მიმართ ძალადობის განსაკუთრებით მაღალი რისკი არსებობს დაკავებულის დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანამდე. ამასთან, პოლიციის სამმართველოების შენობებში არ არის სათვალთვალო კამერები და შესაბამისად, შეუძლებელია დაკავებული პირის მიმართ მოპყრობის ამსახველი ვიდეოჩანაწერების მოპოვება, რომელიც გამოძიებისათვის გადამწყვეტი მტკიცებულება შეიძლება აღმოჩნდეს. საუბარი აგრეთვე შეეხო დაკავებისას ძალის გადამეტების თავიდან აცილების მიზნით, პოლიციის თანამშრომლების სამხრე

ვიდეოკამერებით აღჭურვის მიზანშეწონილობის საკითხს.

- 2015 წლის 20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან მორიგი შეხვედრა მოაწყო.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

ღონისძიების გახსნისას სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე სიახლეებზე ადამიანის უფლებათა აკადემიის გახსნასა და ცხელი ხაზის ამოქმედებაზე ისაუბრა; მოკლედ მიმოიხილა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, მათ შორის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“–ის ირგვლივ მიმდინარე სასამართლო დავა, საიდუმლო ჩანაწერების გამოქვეყნებისა და საჯარო ჩვენების შესახებ გამოძიების საკითხები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული საქართველოს მოსამართლეთა დანიშვნის/დაწინაურების კონკურსის ხარვეზები, პოლიციის მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრების სატელეფონო ჩანაწერების გავრცელების გამოძიების აუცილებლობა, შუალედური არჩევნები და საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა აქტუალური თემები.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ბოლო პერიოდში გამოცემული სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები წარუდგინეს. ასევე, ისაუბრეს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში დიპლომატიურ კორპუსთან მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივაზე.

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

- 2015 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია და საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლის ფარგლებში ჟენევაში გამართულ 23-ე სესიას დაესწრნენ. სესიაზე განიხილებოდა საქართველოს შესახებ ანგარიში ქვეყანაში არსებული უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

სესიის დასრულების შემდეგ, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტთან იოაკიმ რუქერთან, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ საქართველოში არსებული ვითარება გააცნეს. საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება და მედია; კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვა, შრომის ინსპექცია და სხვა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ შვედეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, გერმანიის და ბელგიის მისიების წარმომადგენლებს, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის პროცესში და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მისცეს საქართველოს მთავრობას. მხარეები რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესში აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

11 ნოემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენელს,

რომელსაც მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. ქვეკომიტეტმა დადებითად შეაფასა დეპარტამენტის საქმიანობა და შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ეროვნული პრევენციის მექანიზმი თავის გამოცდილებას სხვა ქვეყნების პრევენციის მექანიზმებსაც გაუზიარებს.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების - „წამების პრევენციის ასოციაცია“ და „ინფო უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის“ (UPR Info) - წარმომადგენლებს, სადაც თემატურად განიხილეს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისა და გეგმების მნიშვნელოვანი საკითხები.

- 2-6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში იმყოფებოდნენ და ევროსაბჭოს სხვადასხვა უწყების ფუნქციონირების ასპექტებს და კონკრეტულ საქმიანობებს გაეცნენ.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

ევროსაბჭოში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების შესახებ ევროკონვენციის სტანდარტების დამკვიდრებასა და რეალიზებაზე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროსაბჭოს ფარგლებში არსებულ მექანიზმებზე, დისკრიმინაციასთან, რასიზმთან, ქსენოფობიასთან და ანტისემიტიზმთან ეფექტური ბრძოლისთვის წევრი სახელმწიფოების მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროსაბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ფართოდ მიმოიხილეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, ძალადობის აღმოფხვრისა და მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე სტამბულის კონვენციის სხვა საკითხები.

განსახილველ თემებს შორის იყო ასევე ევროპული სოციალური ქარტია, მისი პრინციპები და განხორციელებაზე მონიტორინგის მექანიზმები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ევროსაბჭოს აქტივობები და 2006-2015 წლების სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა; მოსამართლეების, იურისტების, პროკურორებისა და სხვა სპეციალისტების შესაძლებლობების გაძლიერების გზით წევრ-სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე ეფექტურად განხორციელება.

ევროსაბჭოს სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტით დაინტერესდნენ. აღნიშნეს, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი ანგარიშები მათთვის ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენს და აპარატთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ერთობლივი საქმიანობების განხორციელების სურვილი გამოთქვეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს საქართველოსთან დაკავშირებულ საქმეებზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეების აღსრულების მექანიზმებზე და აღსრულების პროცესში წევრი-სახელმწიფოების ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ჩართულობის მნიშვნელობაზე.

ჯგუფის წევრები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დაესწრნენ სასამართლოს დიდი პალატის სხდომას, რომელიც ეხებოდა უნგრეთის ხელისუფლების მიერ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების სავარაუდო დარღვევას.

- 2015 წლის 23 და 24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ევროპის საბჭოში შეხვედრები გამართა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან ტორბიორნ იაგლანდთან, ადამიანის უფლებათა კომისართან ნილს მუჟნიეკსისთან, ადამიანის უფლებათა დირექტორატის დირექტორ ქრისტოს ჯაკომპულოსთან, წამების პრევენციის კომიტეტის აღმასრულებელ მდივან იერუნ შოკენბროკთან, პოლიტიკური საკითხების დირექტორატის დირექტორ ალექსანდერ გესელთან და ევროსაბჭოს სხვა წარმომადგენლებთან.

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

სახალხო დამცველმა დამსწრეებს მიმდინარე წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარება, სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული აქტივობები და სპეციალური ანგარიშები გააცნო; მიმოიხილა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა; პროკურატურის რეფორმა, ასევე, სასამართლო რეფორმა და კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი. ისაუბრა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მნიშვნელობაზე; შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების ეფექტურობით.

4.3 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

4.3.1 ტრეინინგი უსაფრთოხების სექტორის მონიტორინგის თემაზე

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2015 წლის 30 ნოემბერიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრმა (DCAF) ჩაატარა ტრეინინგი თემაზე: „უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგი“.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა თავის მისასალმებელ სიტყვაში მადლობა გადაუხადა ორგანიზაცია DCAF-ს ტრეინინგის ორგანიზებისთვის და უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგის საკითხის აქტუალობას ხაზი გაუსვა. სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა მონიტორინგის კუთხით არსებულ გამოცდილებასა და ამ სფეროს ძირითად გამოწვევებზე ისაუბრეს.

მოწვეულმა ექსპერტმა მიმოიხილეს უსაფრთხოების სექტორის მართვისა და ზედამხედველობის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები, უსაფრთხოების სექტორის მონიტორინგი და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი და ამ კუთხით სახალხო დამცველის ინსტიტუტების როლი, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების საქმიანობების კანონიერების მონიტორინგი, შეარაღებული ძალების პერსონალის მიერ საჩივრების წარდგენა და პერსონალის დაცვის სხვა მექანიზმები, სამოქალაქო და სამხედრო დაზვერვის მონიტორინგის საკითხი; სამართალდამცავი ორგანოების მონიტორინგის სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება, კონკრეტულად კი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენების საკითხი, ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებში მათი პასუხისმგებლობა, დაზარალებულთა დაცვა და მათ მიმართ საკომპენსაციო ზომები და სხვა.

ტრეინინგი ინტერაქტიული კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ღონისძიების მიწურულს მონაწილეებმა განხილულ თემებთან მიმართებაში სახალხო დამცველის აპარატის საჭიროებებზე ისაუბრეს და აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები წარმოადგინეს.

5. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

5.1 N8 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულება მდებარეობს თბილისში, გლდანის მე–7 მ/რ–ში. იგი წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, რომელიც შედგება ერთი ადმინისტრაციული და ოთხი საცხოვრებელი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კორპუსისგან. დაწესებულება გათვლილია ასევე

არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის. ამ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დროს ფუნქციონირებდა ფსიქიატრიული საავადმყოფო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფსიქიატრიული საავადმყოფო გაუქმდა. 2005 წლიდან დაიწყო ციხის მშენებლობა. გლდანის N8 დაწესებულება 2007 წლის 7 დეკემბერს გაიხსნა. დაწესებულებაში არასრულწლოვანი ბრალდებულები გადაიყვანეს 2010 წლიდან. 2010 წლამდე მას თბილისის N8 საპყრობილე ეწოდებოდა, შემდგომ კი გარდაიქმნა N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებად. ამჟამად იგი წარმოადგენს N8 პენიტენციურ დაწესებულებას, რომლის განთავსების ლიმიტი შეადგენს 3 672 პატიმარს.

ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, გლდანის N8 დაწესებულებაში შეინიშნებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტები, თუმცა თავად დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები აღნიშნულს არ ადასტურებენ. ანგარიშის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის შესახებ საფუძვლიან ეჭვს ბადებდა არაბუნებრივი სიჩუმე დაწესებულების საცხოვრებელ ნაწილში.

2010 წლისათვის N8 დაწესებულების საკარანტინე განყოფილებაში იყო არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობები. განხორციელებული მონიტორინგის დროს, ოთახის აღჭურვილობიდან გამომდინარე პატიმრებს ეძინათ სკამზე ან პირდაპირ ბეტონის იატაკზე, რადგან ადმინისტრაცია მათ ლეიბებით არ უზრუნველყოფდა. კარანტინში კი შესაძლებელი იყო პატიმარი რამდენიმე კვირის მანძილზე ყოფილიყო. კარანტინში პატიმრების მოთავსება ხდებოდა სასამართლო პროცესებზე გასვლამდე ან დასჯის მიზნით, რომელიც თავის მხრივ უკანონო ქმედებაა.

N8 დაწესებულებაში სისტემატიური ხასიათი ჰქონდა წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობას. წამების ამსახველი ვიდეო კადრების გასაჯაროების შემდეგ დაწესებულებაში პატიმრებმა უფრო თამამად დაიწყეს საუბარი, წლების განმავლობაში მიმდინარე წამებაზე და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე.

2012 წლის შემდეგ N8 დაწესებულებაში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, თუმცა სახალხო დამცველი დაწესებულებიდან კვლავაც იღებს ინფორმაციას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, რაც არაერთ შემთხვევაში, გამოძიების მოთხოვნით, საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მიმართვის საფუძველი გამხდარა. სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა და შესაბამისად ის სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა.

6. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

6.1 რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა

წინამდებარე ქვეთავი ეძღვნება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ N17 და N5 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშებში ასახული რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულების ანალიზს.

სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიესალმება რეკომენდაციების ადრესატების მზაობას გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები, ანგარიშში ასახულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის გაზიარებული ან შესაბამისი უწყებების პასუხი უცნობია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2014 წლის 1-2 დეკემბერს განხორციელდა N17 დაწესებულების მონიტორინგი, რის შემდგომაც მომზადდა ანგარიში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. გაცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს დაწესებულების მიერ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, საექიმო–სამედიცინო პუნქტის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით.

მისასალმებელია, რომ მიღებულ იქნა ზომები სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით სათანადო მომარაგებასთან დაკავშირებით, ასევე შეკეთდა საკანალიზაციო სისტემა.

მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ნაბიჯებისა, დაწესებულებაში მნიშვნელოვანი პრობლემები რჩება სხვადასხვა პრინციპულ საკითებთან დაკავშირებით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში თითოეული პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ.მ. სიდიდის ფართით. პრობლემებია ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშრებით.

კერძოდ, არ არის უზრუნველყოფილი N17 დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების სათანადო რაოდენობა. სრულად არ ხდება მსჯავრდებულთა დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში კვლავაც პრობლემას წარმოადგენდა ხანგრძლივი პაემანისთვის განკუთვნილ ოთახებში სათანადო პირობების უზრუნველყოფა, თუმცა დადებითად უნდა შეფასდეს შესაბამისი სარემონტო სამუშაოების დაწყება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წლის 19-20 თებერვალს განხორციელდა N5 დაწესებულების მონიტორინგი, რის შემდგომაც მომზადდა ანგარიში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. გაცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით დადებითად უნდა შეფასდეს დედათა და ბავშვთა ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესება. აგრეთვე, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დაიწყო ქალი პატიმრების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.

N5 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ქალი პატიმრების დაწესებულებაში მიღების, გაყვანისა და მათი შემოწმების წესი, სააბაზანოებში არ არის უზრუნველყოფილი პრივატულობა, ხოლო საკნებში არ მოდის ცხელი წყალი. მნიშვნელოვანია, რომ წლის ბოლომდე N5 დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რათა ქალ პატიმრებს, მამაკაცი პატიმრების მსგავსად, მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ პატიმარი ქალებისთვის შეიქმნას ცალკე ელექტრონული ბაზა, ასევე არ იქნა გაზიარებული ფსიქოლოგის შტატის დამატების შესახებ რეკომენდაცია.

7. საკანონმდებლო მიმოხილვა

7.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

პატიმრობის კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის განხილვის შედეგები შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქციით, პატიმრობის კოდექსის 95-ე მუხლი ზღუდავდა პატიმრის მიერ მოთხოვნაზე მიღებული უარის გასაჩივრებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, ამჟამად, ეს ხარვეზი გამოსწორებულია, რაც მისასალმებელია.

დადებითად აღსანიშნავია პატიმრობის კოდექსის 103-ე მუხლის მეორე და მე-3 ნაწილში შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის დირექტორის მიერ საჩივრის განხილვის ვადა 1 თვიდან 10 დღემდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა[6] და გენერალური ინსპექციის[7] მიერ საჩივრის განხილვის ვადები პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული არ არის.

7.2 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

7.2.1 ხანგრძლივი პაემანის განხორციელების უფლების შეზღუდვა დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში

ევროპული ციხის წესების 37-ე წესის შესაბამისად, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან.[8] მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[9]

ოჯახთან კონტაქტი წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პატიმრებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც პრივილეგია და ის

---

[6] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის ვადები არც პატიმრობის კოდექსით და არც სამედიცინო დეპარტამენტის დებულებით არ არის განსაზღვრული;

[7] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის როგორც ძველი, ასევე 2015 წლის 25 ივნისს დამტკიცებული დებულების თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. გამონაკლის შემთხვევებში, გენერალური ინსპექციის უფროსთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე;

[8] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 37

[9] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 79

არ უნდა იქნეს წართმეული დისციპლინური ღონისძიების საფუძველზე.[10]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-17[1] მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა მსჯავრდებულს, რომელსაც დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინურ სახდელდაუდებლად ითვლება პირი, რომელიც დისციპლინური სახდელის მოხდიდან ექვსი თვის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას.[11] აღნიშნული მუხლი პრაქტიკაში განიმარტება ისე, რომ პატიმრის მიმართ ნებისმიერი დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, მას როგორც სახდელდადებულ პირს ზემოხსენებული ვადის განმავლობაში ერთმევა ხანგრძლივი პაემანის განხორციელების უფლება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღინიშნა, რომ შეზღუდვები ოჯახთან კონტაქტის მიმართებაში, როგორც დასჯის ფორმა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაული უკავშირდება ასეთ კონტაქტებს და მხოლოდ უმოკლესი დროით (უფრო დღეების ვიდრე კვირის ან თვის განმავლობაში).[12] გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა შეშფოთებით აღნიშნა იმ ფაქტის შესახებ, რომ ხანგრძლივი პაემანის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის გამოყენებისას.[13]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პატიმრის დისციპლინური დასჯა არ უნდა გულისხმობდეს ოჯახის წევრებთან კონტაქტის სრულიად აკრძალვას, ასეთი შეზღუდვა შეიძლება დაკისრებული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთ კონტაქტს უკავშირდება დანაშაული.[14] პატიმრის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრისათვის უფლების მიცემა ან დახმარება, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნება.[15]

პირდაპირი კონტაქტის ხანგრძლივი პერიოდით აკრძალვა შესაძლებელია გამართლებული იყოს, როდესაც არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეალური და განგრძობადი რისკი.[16] სახელმწიფოს არ აქვს თავისუფალი შესაძლებლობა, დააწესოს ზოგადი ხასიათის შეზღუდვები, იმის დადგენის გარეშე, არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევებში შეზღუდვები შესაბამისი ან აუცილებელი.[17] საქმეში ტროსინი უკრაინის წინააღმდეგ, შიდა კანონმდებლობა აწესებდა ავტომატურ შეზღუდვებს უვადო პატიმრების ვიზიტების ხანგრძლივობასთან დაკავშრებით და არ სთავაზობდა რაიმე მოქნილ სისტემას, იმის დასადგენად თუ რამდენად აუცილებელი და შესაბამისი იყო აღნიშნული შეზღუდვები თითოეულ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ პროპორციულობის შეფასების ტექნიკა, რათა საშუალება მისცენ ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, თითოეულ შემთხვევაში, დააბალანსოს და გაითვალისწინოს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესის ცალკეული ასპექტები.[18]

საქმეში ხოროშენკო რუსეთის წინააღმდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ ციხის რეჟიმი, რომელიც აწესებდა მხოლოდ ორი ხანმოკლე პაემანის უფლებას ათი წლის განმავლობაში, არღვევდა პატიმრის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოს შეფასებით, პატიმრები ზოგადად უნდა აგრძელებდნენ კონვენციით გარანტირებული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას, გარდა თავისუფლების უფლებისა. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ წესდების შეზღუდვისას აუცილებელია

[10] წამების პრევენციის ასოციაცია, იხილეთ: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/38/

[11] გამონაკლისს წარმოადგენს დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში გადაყვანისა და საკნის ტიპის სადგომში გადაყვანის შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ ვადად 1 წელია განსაზღვრული.

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, პარაგრაფი 119, CPT/Inf (2015) ხელმისაწვდომია: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf [ბოლოს ნანახია: 23.12.2015]

[13] გაეროს სპეციალური მომხსენებლის ვიზიტის ანგარიში, 6 ნოემბერი 2015, პარაგრაფი 97, [ბოლოს ნანახია: 23.12.2015]

[14] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი პორტუგალიაში, იხილეთ: http://www.cpt.coe.int/documents/prt/2013-35-inf-eng.htm

[15] იხ. Messina v. Italy, para § 61 (Application no. 25498/94)

[16] იხ. Horych v. Poland, para § 117-132, (Application no. 13621/08)

[17] იხ. Moiseyev v. Russia, (Application no. 62936/00,

[18] იხ. Trosin v. Ukraine, (Application no. 39758/05)

არსებობდეს გასაგები და საფუძვლიანი კავშირი აღნიშნული ზომების გამოყენებასა და ინდივიდის ქცევას შორის.

7.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ევროპული ციხის წესების და გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, პატიმართა ტრანსპორტირება საბადრაგო მანქანაში, რომელსაც არა აქვს ადეკვატური ვენტილაცია ან განათება, ან რომელიც მათ ზედმეტ ფიზიკურ დისკომფორტს ან უხერხულობას უქმნის, უნდა აიკრძალოს.[19]

N5 დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა დედათა და ბავშვთა ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე, ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის რეკომენდაცია გასცა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს მგზავრების ჯანმრთელობაზე და სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა წესი.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ დაადასტურა ანგარიშში აღწერილი პრობლემების არსებობა და შესაბამისად განაახლა საკუთარი ავტოპარკი[20]. როგორც პასუხშია მითითებული, დღეის მდგომარეობით ქალ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ტრანსპორტირება ხორციელდება სათანადოდ აღჭურვილი, ქალებისა და ბავშვებისათვის შესაბამისი პირობების მქონე მსუბუქი SUZUKI-ის ან/და HYUNDAI-ის ფირმის ავტომობილებით. პასუხის შესაბამისად, 2015 წლის ივლისში გაიხსნა ახალი, დასავლური სტანდარტების შესაბამისი საბადრაგო სამსახურის ავტოპარკი და ოფისი. ავტოპარკში განთავსებული მანქანები კატეგორიების მიხედვითაა დიფერენცირებული და განკუთვნილია არასრულწლოვანი, ქალი და ყველა რისკის სრულწლოვანი მამაკაცი მსჯავრდებულისათვის. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული სტანდარტის უზრუნველსაყოფად გადადგმულ ნაბიჯებს და მომავალში აპირებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას.

[19] ევროპული ციხის წესები, წესი 32.2; პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 45;

[20] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილი N699606

8. ფოკუსი

8.1 ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ასახულია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში. ანგარიში 2015 წლის 23 თებერვლიდან 15 მარტის ჩათვლით პერიოდს მოიცავს და მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული სპეციალური პრევენციული ჯგუფისა და სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ. მონიტორინგი პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში განხორციელდა.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა შემოწმდა: 1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში, 2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში, 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში, 4. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის გოგონათა პანსიონში, 5. ქართველ მუსლიმთა კავშირის სოფელ ფერიის ვაჟების პანსიონში, 6. ქართველ მუსლიმთა კავშირის ქობულეთის ვაჟების პანსიონში, 7. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბედიანის ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრში.

სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში ეს იყო აღნიშნულ პანსიონებში ბავშვის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და ამ გამოწვევების გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავების პირველი მცდელობა.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონებში ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო

სტანდარტების შესრულების და მეორე მხრივ, ამ სტანდარტების შესრულების ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფოს ძალისხმევის შეფასება.

გამოიკვეთა, რომ ზრუნვის მიწოდების ხარისხი განსხვავებულია ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების მიხედვით და არ არის დარეგულირებული ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სისტემით, რადგან პანსიონების ბენეფიციარები არ იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ – სოციალური სამსახური ზრუნვის პროცესში ჩართული არ არის. ეს ართულებს ბავშვის ისეთი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, განათლების უფლება, ძალადობისგან დაცვა და ა.შ. ის ფაქტი, რომ ამ პანსიონების ბენეფიციარებზე არ ხორციელდება სახელმწიფო ზრუნვა, პრობლემებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვისაც. სახელწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მათთვის სტატუსის განსაზღვრა და შესაბამისი სამედიცინო სერვისის მიწოდება. ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობის გარეშე გართულებულია არასრულწლოვნების პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგების საკითხი და მათი საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრა.

რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სერვისი საჭიროებს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას და პანსიონების ბენეფიციართა აღზრდას ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. ამ მიზნით, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები შეიძლება არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს. დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, მომსახურების მიმწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, აღნიშნულ პანსიონებში ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების შესრულების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მომართოს ყველა საჭირო რესურსი – შექმნას შესაბამისი მექანიზმი ამ სტანდარტების შემდგომი შესრულების ზედამხედველობის განსახორციელებლად, უზრუნველყოს მომსახურებაში ჩართულ პირთა სწავლება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, ბავშვის კეთილდღეობასა და ჰარმონიულ განვითარებაზე ზრუნვის პროცესში, აწარმოოს დიალოგი ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების ეფექტური დანერგვის მიზნით, გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა.

9. ექსპერტის მოსაზრება
- ინტერვიუ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელთან საქართველოში - ბატონ საშა გრაუმანთან

ფოტო: www.radiotavisupleba.ge

1. როგორ შეაფასებდით საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშს - „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში“?

იუნისეფი მიესალმება სახალხო დამცველის ოფისის ინიციატივას „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში“ ბავშვთა უფლებების მონიტორინგის შესახებ.

სახალხო დამცველის ანგარიში მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებას მოიცავს და ამდენად, შეიძლება ამომწურავად ვერ ასახავდეს სიტუაციას საქართველოს ყველა დაწესებულებასა და პანსიონში. ამასთანავე, ზოგი რეკომენდაცია ეხება დეინსტიტუციონალიზაციას და ბავშვების ოჯახებში დაბრუნებას, სხვა რეკომენდაციები კი ფოკუსირებულია ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებაზე. ამან შესაძლოა გამოიწვიოს გაურკვევლობა, რადგან მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, სადაც შესაძლებელია, ამ არარეგულირებული ინსტიტუციების დახურვა.

2. თქვენი აზრით რა არის საქართველოს უმთავრესი გამოწვევა ამ მიმართულებით?

ძირითად სამართლებრივ გამოწვევად რჩება ის, რომ კერძო ან რელიგიურ დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებსა და პანსიონებში ლიცენზირება არ არის სავალდებულო.

ამასთანავე, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია კერძო სამზრუნველო დაწესებულებების რიცხვის, მდებარეობის და ტიპის შესახებ და ამ ინსტიტუციებში ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე, არ არის ცნობილი მიზეზები, თუ რატომ გრძელდება ბავშვთა ინსტიტუციონალიზაცია ამ დაწესებულებებში. საჭიროა მეტი ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვება, რათა მოხდეს არსებული პრობლემის სათანადო პრევენცია და მოგვარება.

3. რა საერთაშირისო გამოცდილება და კარგი პრაქტიკა არსებობს ამ მიმართულებით?

იუნისეფის თანახმად, ბავშვებისთვის საუკეთესო ვარიანტია ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა, ხოლო ინსტიტუციური ზრუნვა კი ყველაზე ნაკლებ სასურველი ალტერნატივაა. ინსტიტუციურმა ზრუნვამ ნამდვილად შეიძლება შეაფერხოს ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი და ემოციური განვითარება. ამასთან, კვლევები აჩვენებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ყველაზე ეფექტიანია ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მომსახურებები.

როგორც მინიმუმ, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებების, პანსიონების ჩათვლით, ლიცენზირება, რეგულირება და სისტემატიური მონიტორინგი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

შორეულ, ძნელად მისაწვდომ რეგიონებში შესაძლებელია რეგულირებული და ლიცენზირებული სკოლა-პანსიონების განხილვა, როგორც ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალება.

4. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხდეს საქართველოში არსებული პრობლემების მოგვარება?

როდესაც დასრულდება ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებების (რელიგიურ, კერძო თუ ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში) აღრიცხვა, იუნისეფი ჩაატარებს სიღრმისეულ ანალიზს, რათა კარგად შეისწავლოს ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის მიზეზები.

აღნიშნული კვლევა უზრუნველყოფს იუნისეფს საჭირო ინფორმაციით, რომ მან ხელი შეუწყოს პრევენციის სათანადო მექანიზმების შემუშავებას, განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და სახელმწიფოს მხრადაჭერით ოჯახზე/თემზე დაფუძნებული პროგრამების შექმნასა და გაძლიერებას.

10. საერთაშორისო სიახლეები

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (მანდელას წესების) განახლებული ვერსიის დამტკიცება

2015 წლის 17 დეკემბერს გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოს მიერ გენერალურ ასამბლეაზე ერთხმად დამტკიცდა განახლებული გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები. გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის პატივსაცემად „მანდელას წესები“ ეწოდა. ადამიანის უფლებების, თანასწორობის, დემოკრატიისა და მშვიდობის კულტურის ჩამოყალიბებისათვის მებრძოლმა ნელსონ მანდელამ 27 წელი ციხეში გაატარა. წინამდებარე წესები წარმოადგენს 1957 წელს დამტკიცებული ძირითადი ტექსტის განახლებულ ვერსიას.

2010 წელს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 4 წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნული წესების განახლებაზე. [21]

11. მომავალი ღონისძიების ანონსი

2016 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმი საზოგადოებას წარუდგენს სპეციალურ ანგარიშს 12 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შესახებ. სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამჟამად ამუშავებს მონიტორინგის დროს მოპოვებული დიდი მოცულობის მონაცემებს.

2016 წლის დასაწყისში ასევე გამოქვეყნდება N12, N6, N8, N16, N17, N9 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიშები.

[21] ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI), ხელმისაწვდომია: http://www.penalreform.org/news/10071/ [ბოლოს ნანახია: 24.12.2015]

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2015 წელი

საქართველოს სახალხო დამცველი
ცხელი ხაზი: 1481

მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში

კონტაქტი :

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
მობ: 577 50 52 31
ტელ: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ: 577 50 52 34
ტელ: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
მობ: 577 12 27 70
ტელ: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ: 591 88 35 38
ტელ: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ: 577 55 33 81
ტელ: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქუჩა N1
მობ: 577 78 27 42
ტელ: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51
ტელ: 0357 22 19 70

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9
ტელ:0496 27 30 53
მობ:593 44 44 27